

Hambardzumyan v. Armenia

ჰამბარდზუმიანი სომხეთის წინააღმდეგ

საჩივარი N [43478/11](#)

5 დეკემბერი 2019

საბოლოო

05.03.2020

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პოლიციას სისხლისმართლებრივი გამოძიებისას მისი ფარული თვალთვალის განხორციელებისთვის არ ჰქონდა მოქმედი სასამართლოს ბრძანება. კერძოდ ის დავობდა ფარული თვალთვალისა და სისხლის სამართალწამოებაში აღნიშნულის მის წინააღმდეგ შემდგომი გამოყენების შესახებ.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. მან დაასკვნა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული თვალთვალის ღონისძიება არ დაექვემდებარა სათანადო სასამართლო შემოწმებას და კონვენციის თვალსაზრისით არ იყო “კანონთან შესაბამისი”. კერძოდ მან აღნიშნა, რომ განჩინება არ იყო საკმარისად კონკრეტული ფარული თვალთვალის ობიექტის პიროვნებასთან დაკავშირებით, ასევე ხაზი გაუსვა ბუნდოვანებას, რაც იყო მიუღებელი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ისეთ სერიოზულ ჩარევასთან მიმართებით როგორც ფარული თვალთვალია.

ამასთან, განჩინებაში არ იყო ჩამოთვლილი ის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მომჩივნის მიმართ უნდა განხორციელებულიყო. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივნის საქმეში ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევას, დაასკვნა რა, რომ ფარულად მიმაგრებული მოწყობილობის გამოყენება კონფლიქტში არ იყო მე-6 § 1 მუხლით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებთან.

სამართალი

I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

35. მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ ფარული თვალთვალი განხორციელდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დარღვევით.

დასაშვებობა

1. მხარეთა განცხადებები

36.სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები ამოწურული და მას კონვენციის 35 § 1-ე მუხლის მიხედვით თავისი საჩივრები არ წარუდგენია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ექვი თვის ვადაში.

37.სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივანი 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო განჩინებას გაეცნო, როდესაც საქმის მასალებზე წვდომის უფლება მიენიჭა 2010 წლის 12 მაისს, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ თარიღიდან 15 დღის ვადაში მის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376.1-ე და 379-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევით. მიიჩვედა რა მომჩივანი, რომ ეს პროცედურა არ წარმოადგენდა ეფექტურ სამართლებრივ საშუალებას მისი საჩივრებისთვის კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, ექვსთვიანი ვადის ათვლის წერტილად უნდა განისაზღვროს 2010 წლის 12 მაისი, ვადა როდესაც ის გაეცნო განჩინებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩანაწერების მტკიცებულებად დაშვების შესახებ დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ეფექტურ სამართლებრივ საშუალებად მე-8 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით. სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო *Kirakosyan (no. 2)*-ის საქმეში გაკეთებულ დასკვნებს, სადაც დადგენილი იქნა, რომ ჩხრეკის შესახებ განჩინების საფუძვლების ნამდვილობასთან დაკავშირებით საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში დავა არ იყოს ეფექტური საშუალება მე-8 მუხლის მიზნებისთვის (იხილეთ *Kirakosyan v. Armenia (no. 2)*, no. [24723/05](#), § 49, 4 თებერვალი 2016).

38.მომჩივანი აცხადებდა, რომ მას შემდეგ რაც გაიგო 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო განჩინებისა და ამ განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული ოპერაციის შესახებ, ეროვნულ დონეზე მიმდინარე მთელი სისხლის სამართალწარმოების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მისი ფარული თვალთვალი იყო უკანონო. მას რომ წარედგინა საჩივარი 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო განჩინების წინააღმდეგ მისი მიღებიდან სამ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, აღნიშნული მიიჩნეოდა ვადის დარღვევით შეტანილად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფარული თვალთვალის შედეგად შეგროვებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლებოდა ყოფილი ცალკე არსებული წაროებისას განხორციელებული შემოწმების საგანი, იმ პირობებში როდესაც აღნიშნული მტკიცებულებები წარმოადგენდნენ იმ მტკიცებულებების ნაწილს, რომლებიც წარდგენილ იქნა მომჩივნის ბრალის

განმსაზღვრელ სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა ისეთ პროცედურას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა პირველი ინსტანციის არსებითან განმხილველი სასამართლოს გამოსაკვლევი მტკიცებულები კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ცალკე სამართალწარმოებაში.

2. სასამართლოს შეფასება

39. სტრასბურგის სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35 § 1-ე მუხლში მითითებული შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის წესი, ავალდებულებს მათ ვისაც სურს საერთაშორისო სასამართლო ორგანოში სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის წარდგენა, რომ უპირველესყოვლისა გამოიყენონ ეროვნული სამართლებრივი სისტემით განსაზღვრული საშუალებები, ამგვარად ის ათავისუფლებს სახელმწიფოებს მათ ქმედებების გამო საერთაშორისო ორგანოში პასუხისგებისგან სანამ ექნებათ შესაძლებლობა გამოსწორონ მდგომარეობა თავიანი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში. იმისათვის რომ შესრულდეს აღნიშნული წესი, მომჩივანს უნდა ჰქონდეს ნორმალური სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც არის ხელმისაწვდომი და საკმარისი სავარაუდო დარღვევების გამოსწორებისთვის (იხილეთ , among other authorities, *Vučković and Others v. Serbia* (preliminary objection) [GC], nos. [17153/11](#) and 29 სხვები, §§ 70 და 71, 25 მარტი 2014).

40. მხოლოდ ის სამართლებრივი საშუალებები უნდა იქნეს ამოწურული, რომელიც ეფექტურია. სახელმწიფოს, რომელიც ამტკიცებს, რომ საშუალებები არ ამოწურულა, ვალდებულებაა დაარწმუნოს სასამართლო, რომ სამართლებრივი საშუალება იყო ეფექტური, არსებული როგორც თეორიაშია, ისე პრაქტიკაში, ანუ, ის იყო ხელმისაწვდომი და შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება მომჩივნის საჩივრებთან მიმართებით, ამასთან გვთავაზობდა წარმატების გონივრულ პერსპექტივებს. თუ ეს მტკიცების ტვირთი დაკმაყოფილდება, შემდეგ მომჩივანმა უნდა ამტკიცოს, რომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული საშუალება რეალურად ამოწურული იყო ან გარკვეული მოსაზრების გამო იყო არაადეკვატური და არაეფექტური საქმის განსაზღვრულ გარემოებებში, ან ის რომ არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ათავისუფლებდა მას ამ მოთხოვნისგან (იხილეთ see *Kalashnikov v. Russia* (dec.), no. [47095/99](#), ECHR 2001-XI (extracts)).

41. თუ სამართლებრივი საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი ან არაეფექტურია, კონვენციის 35 § 1-ე მუხლში მოცემულია ექვსთვიანი ვადა ზოგადად აითვლება გასაჩივრებულთა ქმედების ჩადენის დღიდან (იხილეთ *Bayram and Yildirim v. Turkey* (dec.), no. [38587/97](#), ECHR 2002-III). ამრიგად, ვადის ათვლა იწყება სამართლებრივი საშუალებების ამოწურვიდან გამომდინარე

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან, როცა ეს საშუალებები არის ადეკვატური და ეფექტური გასაჩივრებულ საკითხთან დაკავშირებული მდგომარეობის გამოსასწორებად.

ამ გაგებით, 35 § 1-ე მუხლში მოცემული მოთხოვნები, რომლებიც ეხება ეროვნული საშუალებების ამოწურვასა და ექვსთვიან პერიოდს არიან ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული, რადგან არა მხოლოდ ერთ მუხლშია არიან მოცემული, არამედ ასევე გამოხატულნი არიან ერთ წინადადებაში, რომლის გრამატიკული კონსტრუქცია გულისხმობს ასეთ კორელაციას (იხილეთ *Berdzenishvili v. Russia* (dec.), no. [31697/03](#), ECHR 2004-II (extracts)).

42. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით სასამართლო დასაწყისში აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ფარულ თვალთვალთან დაკავშირებული საკითხი წამოჭრა პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების დროს და მოგვიანებით თავის მსჯავრდებასთან დაკავშირებულ საჩივრებში.

43. ევროპული სასამართლო ეთანხმება მთავრობას, რომ სასამართლოებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ მომჩივნის ბრალდებას, არ შეეძლოთ ეფექტური სამართლებრივი საშუალების უზრუნველყოფა რამდენაც საქმე კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებულ მომჩივნის საჩივრებს ეხებოდა. თუმცა, აღნიშნულ სასამართლოებს ჰქონდათ უფლებამოსილება მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები განეხილათ, მათ არ შეეძლოთ განეხილათ კონვენციასთან დაკავშირებული საჩივრის არსებითი მხარე, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ იყო “კანონის შესაბამისი” ან არ იყო “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”; კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლოთ საჩივართან დაკავშირებული სათანადო დახმარების აღმოჩენა (იხილეთ *Khan v. the United Kingdom*, no. [35394/97](#), § 44, ECHR 2000-V; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. [44787/98](#), § 86, ECHR 2001-IX; *Goranova-Karaeneva v. Bulgaria*, no. [12739/05](#), § 59, 8 მარტი 2011; *İrfan Güzel v. Turkey*, no. [35285/08](#), §§ 106 და 107, 7 თებერვალი 2017; და, განსხვავებისთვის, *Dragojević v. Croatia*, no. [68955/11](#), §§ 72-74, 15 იანვარი 2015; *Šantare and Labazņikovs v. Latvia*, no. [34148/07](#), §§ 40-44, 31 მარტი 2016, და *Radzhab Magomedov v. Russia*, no. [20933/08](#), §§ 77-79, 20 დეკემბერი 2016).

44. სტრასბურგის სასამართლო ამრიგად ასკვნის, რომ ფარულ თვალთვალთან დაკავშირებული საკითხის დაყენება იმ სასამართლოებში, რომლებიც მომჩივნის საქმეს არსებითად განიხილავენ, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს

ეფექტურ საშუალებად მე-8 მუხლიდან გამომდინარე მომჩივნის საჩივრებთან მიმართებით.

45. ასეთი დასკვნის შემდეგ, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ჰქონდა თუ არა მომჩივანს თავის განკარგულებაში ეფექტური საშუალება, რომლის ამოწურვაც მას მოეთხოვებოდა სასამართლოსთვის მიმართვამდე. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანს შეეძლო სასამართლო განჩინების წინააღმდეგ, რომელიც იძლეოდა მისი ფარული თვალთვალის ნებართვას, შეეტანა საჩივარი, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნულის არსებობის შესახებ.

46. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დაეზუსტებინა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010 წლის 3 თებერვლის განჩინების პოტენციური გადასინჯვის ფარგლები, თუ მომჩივანი შეიტანდა მის წინააღმდეგ საჩივარს. კონკრეტული ეროვნული სამართლებრივი დებულებების არ არსებობის პირობებში საერთოდ არ არის ნათელი სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თუ არა გამოეკვლია სადავო ჩარევა პასუხობდა თუ არა მწვავე საზოგადოებრივ მოთხოვნას და იყო თუ არა დასახული მიზნების პროპორციული (*Peck v. the United Kingdom*, no. [44647/98](#), §§105-107, ECHR 2003-I; and *Keegan v. the United Kingdom*, no. [28867/03](#), §§ 40-43, ECHR 2006-X).

47. სტრასბურგის სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განსახილველი სასამართლო განჩინების მიხედვით ის შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო 15 დღეში, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლი ადგენს საპროცესო გადაწყვეტილებების გასაჩივრები 10 დღიან ვადას (იხილეთ პარაგრაფები 9 და 30 ზემოთ). ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარაა რომ მომჩივანს არ შეეძლებოდა დროული საჩივრის შეტანა ისეთ სიტუაციაში, როდესაც ამ უკანასკნელმა განჩინების და მის საფუძველზე განხორციელებული ფარული თვალთვალის შესახებ ამ პერიოდის გასვლის შემდგომ გაიგო. საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (იხილეთ პარაგრაფი 34 ზემოთ), სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივანს შეეძლო 2010 წლის 3 თებერვლის განჩინების წინააღმდეგ საჩივრის შეტანა 15 დღის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც ის გაეცნო განჩინებას, 2010 წლის 12 მაისს, რაც არ გააკეთა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება ეხებოდა კონკრეტულ სიტუაციას, როდესაც პირმა სცადა იმ სასამართლო განჩინების გასაჩივრება, რომელიც იძლეოდა ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიების განხორციელების ნებართვას, იმ საქმეში რომელშიც ბრალდების მხარემ არ განახორციელა სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოში. ამგვარად, მოცემული ეროვნული პრეცედენტული სამართლის

მაგალითი არ შეიძლება ჩაითვალოს მთავრობის იმ განცხადების მხარდასაჭერად, რომლის მიხედვით მომჩივანს ჰქონდა განჩინების გასაჩივრების ეფექტური შესაძლებლობა, მაშინ როცა განჩინების შესახებ გაიგო გამოძიების დასრულებისას იმ პირობებში როცა მის წინააღმდეგ საქმე არსებითად განსახილველად იგზავნებოდა სასამართლოში. მთვარობას არ წარმოუდგენია ეროვნული პრეცედენტული სამართლის არც ერთი მაგალითი, როდესაც სააპელაციო სასამართლომ განსახილველად მიიღო იმ საპროცესო გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი, რომელიც ეხებოდა მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოადგენა საბრალდებო ოქმის ნაწილს, იმ საქმეში, რომელიც გადაცემულ იქნა ან გადაეცემოდა არსებითად განმხილველ პირველი ინსტანციის სასამართლოს. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რელევანტური დებულებები ადგენს ჩვეულებრივ პროედურას საპროცესო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრების შეტანისთვის მათი გამოცხადებიდან 10 დღისა ვადაში (იხილეთ პარაგრაფი 30 ზემოთ) როდესაც საკაცაციო სასამართლომ 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით განმარტა ასეთი საჩივრების შეტანის ვადების გამოთვლის პრინციპები (იხილეთ პარაგრაფი 34 ზემოთ). საკაცაციო სასამართლო არ იყო მოწოდებული განეხილა სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებები და კომპეტენცია იმ საპროცესო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრების განხილვისას, რომლებიც გამოტანილ იქნა სისხლის სამართლის წარმოების დროს, როდესაც ბრალდება შეჯამებულ იქნა საქმის მასალების პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის გადაცემის გზით, ხოლო სახელმწიფოს, როგორც ზემოთაა აღნიშნული, არ წარმოუდგენია ეროვნული პრეცედენტული სამართლის მაგალითი სადაც სააპელაციო სასამართლო დათანხმა განეხილა სასამართლო განჩინება, რომელიც უკავშირდებოდა არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის გადაცემულ საბრალდებო მტკიცებულებების შემადგენელ მტკიცებულებას.

48. სადავო არ არის მხარეებს შორის, რომ მომჩივანმა და მისმა ადვოკატმა ფარული თვალთვალის ღონისძიებისა და შესაბამისი სასამართლო განჩინების შესახებ გაიგეს 2010 წლის 12 მაისს. საბრალდებო ოქმი შეჯამებულ იქნა და საქმე გადაეცა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისს (იხილეთ პარაგრაფები 15 და 16 ზემოთ), ორი კვირაზე ნაკლების დროის შემდეგ. აშკარა პროცედურებისა და როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო სასამართლო ქმედებებთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიმართ თანმიმდევრული ეროვნული პრაქტიკისა არარსებობის პირობებში, ფაქტი, რომელიც აღიარა საკაცაციო სასამართლომ 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით (იხილეთ პარაგრაფი 34 ზემოთ), სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ გამოძიების დასრულებისას 2010 წლის 3 თებერვლის

სასამართლო განჩინებასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა ცალკე წარმოებაში, იყო საკმარისი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალება მომჩივნისთვის კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევების გამოსწორებისთვის.

49. ზემოთნახსენები მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის განჩინებასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანა არ იყო ეფექტური საშუალება ამოწურვისთვის. ამგვარად, ის უარყოფს სახელმწიფოს შუამდგომლობას შიდასამართლებრივი საშუალებების არ ამოწურვასთან დაკავშირებით.

50. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანმა სასამართლოს საჩივარი წარუდგინა მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ექვს თვეში. სასამართლოს ზემოთნახსენები დასკვნების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით კონვენციასთან დაკავშირებული ფარულ თვალთვალთან მიმართებით არსებული საჩივრების წამოჭრა მომჩივნის წინაარმდეგ საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში არ წარმოადგენდა ეფექტურ საშუალებას კონვენციის 35 § 1-ე მუხლის გაგებით, სასამართლომ უნდა განსაზღვროს მომჩივნის ქმედება შეესაბამებოდა თუ არა ექვსთვიან წესს.

51. სასამართლოს *Kirakosyan (no. 2)* -ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე მითითებით, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მომჩივნის მე-8 მუხლთან დაკავშირებული საჩივრები უნდა ჩათვლილიყო ვადის დაღვევით წარდგენილად (იხილეთ *Kirakosyan (no. 2)*, cited above, § 49) რადგან მან არ წარადგინა ისინი ექვსი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან როდესაც მისთვის ცნობილი გახდა სათვალთვალო ღონისძიებებისა და ამ უკანასკნელთა საფუძვლად არსებული სასამართლო განჩინების შესახებ. სასამართლო შენიშნავს, რომ *Kirakosyan (no. 2)* -ის საქმე ეხებოდა მომჩივნის თანდასწრებით ჩატარებულ ჩხრეკას (იხილეთ *Kirakosyan (no. 2)*, cited above, §§ 14 და 15), ამდენად იმ ღონისძიებას, რომლის შესახებ მომჩივანმა იცოდა გამოძიებისას, განსხვავებით მოცემული საქმისგან, სადაც მომჩივანმა ფარული თვალთვალის ღონისძიებების შესახებ გაიგო გამოძიების დასრულების შემდგომ და მისი საქმის არსებითად განხილვისთვის გადაცემისას. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ასევე აღიარა განსხვავებული მიდგომის საჭიროება, ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიები სახის გათვალისწინებით, რამდენადაც საქმე ეხებოდა საპროცესო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საჩივრების შეტანის პროცედურას. მან განაცხადა, რომ მაგალითად, ჩხრეკის შემთხვევაში რელევანტური ვადის ათვლა შეიძლება დაწყებულიყო მისი ჩატარების მომენტიდან, განსხვავებით

ფარული თვალთვალისგან, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მიღებული ის მომენტი, როდესაც პირმა გაიგო ამ ღონისძიების შესახებ (იხილეთ პარაგრაფი 34 ზემოთ).

52.სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ფარული თვალთვალის შესახებ გაიგო გამოძიების ფინალურ სტადიაზე, როდესაც საქმის მასალებზე წვდომის უფლება მიენიჭა და ამის შემდეგ მოკლე დროში ბრალდება, როდესაც ბრალდების მხარემ შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენა მტკიცებულებად მის წინაარმდეგ საქმის დასაბუთებისთვის, შეჯამებულ იქნა საქმის არსებითად განსახილველად გაგზავნით. ამ ფონზე, და სასამართლოს ზემოთნახსენები დასკვნის გათვალისწინებით, რომ საჩივრის ცალკე წარმოებაში წარდგენა სამართალწარმოების ამ ეტაპზე არ წარმოადგენდა ეფექტურ სამართლებრივ საშუალებას ან ამ საშუალების ეფექტურობის ბუნდოვანებს გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ არ იყო არაგონივრული მომჩივნის მცდელობა საჩივრებისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს ყურადღება მიეპყრო. ეს დასკვნა გამყარებულია იმ ფაქტით, რომ ეროვნულმა სასამართლოებამ სინამდვილეში განიხილეს მომჩივნის საჩივრები, რომლებიც უპირველესყოვლისა ეხებოდა თვალთვალის ღონისძიებების სავარაუდო უკანონობას (იხილეთ პარაგრაფი 19 და 21 ზემოთ) და ამრიგად მათ არსებითად განიხილეს მისი კონვენციასთან დაკავშირებული საჩივრები. ამ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი არ შეიძლება გაიკიცხოს მისი მცდელობისთვის მიემართა ეროვნული სასამართლოებისთვის საჩივრებით იმ სამართლებრივი საშუალებებით, რომელთაც შეცდომით ეფექტურად თვლიდა (იხილეთ *Zubkov და Others v. Russia*, nos. [29431/05](#) and 2 others, § 107, 7 ნოემბერი 2017).

53.ამ ფონზე, სასამართლო ადგენს, რომ არ იყო არაგონივრული მომჩივნის მხრიდან წამოეჭრა კონვენციასთან დაკავშირებული საჩივრები მისი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განმსაზღვრელ სასამართლოებში იმისათვის, რომ ეროვნული სასამართლოებისთვის მიეცა საკითხის მოგვარების შესაძლებლობა ეროვნული სამართლებრივი სისტემის საშუალებით, ამრიგად პატივი ეცა იმ პრინციპისთვის, რომ კონვენციით დაფუძნებული დაცვის მექანიზმი არის სუბსიდიარული ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სისტემასთან მიმართებით (იხილეთ, *mutatis mutandis, El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. [39630/09](#), § 141, ECHR 2012).

54.შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის შუამდგომლობას ევსთვიანი წესი დარღვევასთან დაკავშირებით.

55.სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (a)-ე მუხლის გაგებით. დამატებით აღნიშნავს, რომ არ არის დაუშვებელი ნებისმიერი სხვა საფუძვლებით. ამრიგად დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

B. არსებითი გარემოებები

1. მხარეთა განცხადებები

56.მომჩივანი დავობდა, რომ მისი ფარული თვალთვალი იყო უკანონო, რადგან დაფუძნებული იყო შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით გამოცემულ სასამართლო განჩინებაზე. ეს განჩინება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ შეიცავდა მითითებას იმ პირზე რომლის მიმართაც ნებადართული ფარული თვალთვალი უნდა განხორციელებულიყო. საქმის მასალები არ შეიცავდა რაიმე სასამართლო განჩინებას, რომელიც იძლეოდა მომჩივნის ვიდეო და აუდიო თვალთვალის ნებართვას. ასევე არ შეიცავდა რაიმე სასამართლო ბრძანებას, რომელიც იძლეოდა მისი სატელეფონო კომუნიკაციის მოპოვების ნებართვას.

57.სახელმწიფომ აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებებში ჩარევას. თუმცა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ჩარევა იყო გამართლებული. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის ფარული თვალთვალის შესახებ სასამართლოს განჩინება გამოცემული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278, 281 და 284 -ე მუხლებისა და ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიებების აქტის მოთხოვნების შესაბამისად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო განჩინების ტექსტით ცხადი იყო, რომ ნებადართული ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიებები, სახელდობრ აუდიო და ვიდეო ჩაწერები, უნდა განხორციელებულიყო მომჩივნის მიმართ. ამასთან ასეთი ჩარევა დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურებოდა და ასეთი მიზნის პროპორციული იყო.

3. სასამართლოს შეფასება

(a) იყო თუ არა ჩარევა

58.მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ მომჩივნის მიერ ე.ს-სთან განხორციელებული პირადი და სატელეფონო საუბრების ჩაწერა წარმოადგენდა მომჩივნის კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრულ უფლებებში ჩარევას. სასამართლო ვერ ხედავს სხვაგვარად დადგენის მიზეზს

(იხილეთ *Khan* cited above, §§ 9, 10 და 25; *Vetter v. France*, no. [59842/00](#), §§ 10 და 20, 31 მაისი 2005, *Dragojević*, cited above, § 78).

(b) გამართლებული იყო თუ არა ჩარევა

(i) ზოგადი პრინციპები

59. ნებისმიერი ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მე-8 § 2 მუხლის მიხედვით თუ ის კანონის შესაბამისია, ემსახურება მე-8 მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერი ასეთი მიზნის მისაღწევად (იხილეთ, among other authorities, *Kennedy v. the United Kingdom*, no. [26839/05](#), § 130, 18 მაისი 2010).

60. ფორმულირება “კანონის შესაბამისად” მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიებას საფუძველი ჰქონდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობას, რაც აშკარად არის ნახსენები კონვენციის პრეამბულაში და მე-8 მუხლის ობიექტისა და მიზნის არსებითი ნაწილია. სამართალმა ამგვარად უნდა დააკმაყოფილოს ხარისხის მოთხოვნები: უნდა იყოს ხელმისაწვდომი პირისთვის და განჭვრეტადი მის შედეგებთან დაკავშირებით (იხილეთ *Roman Zakharov v. Russia* [GC], no. [47143/06](#), §§ 228-230, ECHR 2015 დამატებითი მითითებებით).

61. რაც შეეხება საკითხს, ჩარევა იყო თუ არა “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში” ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სასამართლო იმეორებს, რომ მოქალაქეთა ფარული თვალთვალის ბრძანების გაცემის უფლებამოსილებები მე-8 მუხლის მიხედვით შეწყნარებულია იქამდე სადამდეც მკაცრად აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად. პრაქტიკაში, ეს გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტური და ადეკვატური გარანტიები თვითნებობის თავიდან ასაცილებლად. შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა შესაძლებელი ღონისძიებების ხასიათი, ფარგლები და ხანგრძლივობა, მათი საფუძვლები, ნებართვის გამცემი, მათ ჩატარებასა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოები და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალების სახე (იხილეთ *Kennedy*, cited above, § 153).

62. სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემზღუდველი ღონისძიებების ჩატარების ბრძანების გაცემისა და იმპლემენტაციის ზედამხედველობის პროცედურები არის თუ არა ისეთი, რომ უზრუნველყოს “ჩარევის” “დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი” სტანდარტთან შესაბამისობა.

დამატებით, საზედამხედველო პროცედურებისას დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებები უნდა იქნეს დაცული იმდენად კეთილსინდისიერად რამდენადაც შეიძლება თუ აუცილებლობის საზღვრები მე-8 § 2 მუხლის თვალსაზრისით, არ უნდა იქნეს დარღვეული (იხილეთ *Kvasnica v. Slovakia*, no. [72094/01](#), § 80, 9 ივნისი 2009; and *Kennedy*, cited above, § 154).

(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

63. წინამდებარე საქმეში მომჩივანი არ დავობდა ზოგადად კანონმდებლობის არსებობაზე, რომელიც ნებას რთავდა ფარული თვალთვალის ღონისძიების მიღებაზე. მისი საჩივრის საფუძველი იყო ასეთი თვალთვალის კონკრეტული შემთხვევა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლომ, როგორც წესი, ყურადღება უნდა გაამახვილოს არა კანონზე, როგორც ასეთზე, არამედ იმაზე, თუ როგორ იქნა იგი გამოყენებული მომჩივნის მიმართ კონკრეტულ გარემოებებში (see *Kennedy*, cited above, § 119; and *Goranova-Karaeneva*, cited above, § 48).

64. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივრები, პირველ რიგში, ფოკუსირებულია არა ეროვნულ კანონმდებლობაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვის არარსებობაზე, არამედ რაიონული სასამართლოს მიერ მის მიმართ გარული თვალთვალის ღონისძიების ნებართვის გაცემისას კანონის შესაბამისი მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ.

65. მომჩივანმა აღნიშნა, რომ 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლოს ბრძანება არ შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მოთხოვნებს. მთავრობა არ დაპირისპირებია ამ განცხადებას. კერძოდ, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში არ იყო მითითებული მომჩივნის სახელი, როგორც პირი, რომლის მიმართაც აუდიო და ვიდეო ჩანაწერი ნებადართული იყო პოლიციის მიერ. მთავრობამ განაცხადა, რომ ბრძანების დასაბუთებიდან ცხადი იყო, რომ ფარული თვალთვალის უფლება გაცემული იყო მომჩივნის მიმართ. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო ბრძანების დასაბუთების ნაწილი წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლით დეპარტამენტის უფროსის მიერ შეტანილი შესაბამისი განცხადების პირდაპირი რეპროდუქცია, სადაც ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ ა.ს.-ს ქმედებები მოიცავდა 311-ე მუხლით გაწერილ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ელემენტებს, კერძოდ - ქრთამის აღება. მთავრობის მიდგომას რომ მიუყვებოდა ეს გამოიწვევს სპეკულირებას იმის თაობაზე, რომ შესაბამის განცხადებაში და მის საფუძველზე გაცემულ სასამართლო ბრძანებაში შეცდომით იყო მითითებული ა.ს.-ს სახელი მომჩივნის სახელის ნაცვლად და რომ საბოლოოდ ფარული თვალთვალის უფლებამოსილება გაცემული იყო მომჩივნის და არა სხვა პირის

მიმართ. ნებისმიერ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ ფარული თვალთვალი არის სერიოზული ჩარევა პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში, და სასამართლო ნებართვა რომელიც მის საფუძვლეს წარმოადგენს არ შეიძლება შედგენილი იყოს ბუნდოვანი სიტყვებით, რომ დატოვოს ადგილი სპეკულირებისა და ვარაუდებისთვის მის შინაარსთან დაკავშირებით და რაც მთავარია, იმ პირის მიმართ რომლის მიმართაც გამოიყენება მოცემული ღონისძიება.

66. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლოს ბრძანება, მოიცავდეს მითითებას საგამომეზო მოქმედებების ან გამოსაყენებელი ოპერატიულ-სადაზვერვო ღონისძიებების შესახებ, აქტივობის ან ღონისძიების მითითებით. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიებების შესახებ კანონის მე-14 (1) ნაწილი შეიცავს ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიებების სახეების ამომწურავ ჩამონათვალს და ეს სია არ შეიცავს ზომას სახელმწიფოებში „აუდიო და ვიდეო ჩანაწერები“, რომელიც მოცემულია 2010 წლის 3 თებერვლის სასამართლო ბრძანებაში. წინამდებარე საქმეში, პოლიციამ ჩაიწერა მომჩივნის საუბრები ა.ს-სთან 3 და 4 თებერვალს მათი შეხვედრების დროს, ასევე მათი წინა დღის სატელეფონო საუბრები. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, პოლიციამ ჩაატარა ორი განსხვავებული ტიპის ოპერატიული და სადაზვერვო ღონისძიება, ეს არის გარე თვალთვალი და სატელეფონო კომუნიკაციების მოსმენა, მაშინ, როცა სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის ბრძანებაში აღნიშნული ზომები არ იყო მითითებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის ფარული თვალთვალის ნებართვა არ ექვემდებარებოდა სათანადო სასამართლო ზედამხედველობას.

67. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნას, რომ მომჩივნის ფარული თვალთვალის არ იყო „კანონის შესაბამისი“ კონვენციის მე-8 მუხლი მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. ამ დასკვნის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო საჭიროდ არ თვლის განიხილოს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობა ამ საქმეში (see *Petrova v. Latvia*, no. [4605/05](#), § 98, 24 June 2014).

68. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი

II. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

69. მომჩივანი დავობდა ფარული თვალთვალის გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების თაობაზე, მის წინააღდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს.

A. დასაშვებობა

სტრასბურგის სასამართლომ დასაშვებად ცნო აღნიშნული საჩივარი.

B. საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა განცხადებები

71. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცებულებებად აღიარეს უკანონოდ, მასზე ფარული თვალთვალის შედეგად, მოპოვებული ჩანაწერები, და საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნეს ამ მტკიცებულებებს. ეს ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ შესაბამის წესებს, რის გამოც მისი სასამართლო განხილვა იყო არასამართლიანი.

72. მთავრობამ განაცხადა, რომ სამართალწარმოების განმავლობაში მომჩივანს ჰქონდა ეფექტური შესაძლებლობა შეწინააღმდეგებოდა ჩანაწერების მტკიცებულებად გამოყენებას. სადავო განსახილველი ჩანაწერები არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც ეფუძნებოდა მისი მსჯავრდება მაშინ, როცა ეროვნული სასამართლოების მიერ სადავო მტკიცებულებების შეფასება არ იყო თვითნებური.

2. სტრასბურგის სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

73. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლებას, იგი არ ადგენს რაიმე წესს მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, რაც ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საკითხს წარმოადგენს (see *Schenk v. Switzerland*, 12 July 1988, § 45, Series A no. 140; *Teixeira de Castro v. Portugal*, 9 June 1998, § 34, *Reports of Judgments and Decisions* 1998-IV; *Jalloh v. Germany* [GC], no. [54810/00](#), §§ 94-96, ECHR 2006-IX; and *Moreira Ferreira v. Portugal* (no. 2) [GC], no. [19867/12](#), § 83, 11 July 2017).

74. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს როლი არ არის, იმის განსაზღვრა, დასაშვებია თუ არა მტკიცებულებების კონკრეტული სახეები - მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები ეროვნული კანონმდებლობის თვალსაზრისით - ან იყო თუ არა მომჩივანი დამნაშავე თუ არა. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს წარმოადგენს იმას, არის თუ არა მთლიანობაში სამართალწარმოება, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების გზა, სამართლიანი. ეს გულისხმობს სადავო „არაკანონიერების“ შემოწმებას და როდესაც საქმე ეხება სხვა კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევას, ამ დარღვევის ბუნების დადგენას (see *Bykov v. Russia* [GC], no. [4378/02](#), § 89, 10 March 2009; *Lee Davies v. Belgium*, no. [18704/05](#), § 41, 28 July 2009; and *Prade v. Germany*, no. [7215/10](#), § 33, 3 March 2016).

75. იმის დასადგენად, იყო თუ არა პროცესი მთლიანობაში სამართლიანი, ასევე გათვალისწინებული უნა იქნეს, დაცული იყო თუ არა დაცვის მხარის უფლებები. კერძოდ, უნდა დაგინდეს, მიეცა თუ არა მომჩივანს მტკიცებულების ავთენტურობის ექვემდებარება და მისი გამოყენებისათვის შეწინააღმდეგების შესაძლებლობა (see *Szilagyi v. Romania* (dec.), no. [30164/04](#), 17 December 2013). გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მტკიცებულების ხარისხი, მათ შორის, მისი მოპოვების სანდოობას თუ სიზუსტეს ექვემდებარება თუ არა მისი მოპოვების გარემოებები (see, among other authorities, *Bykov*, cited above, § 90 and *Lisica v. Croatia*, no. [20100/06](#), § 49, 25 February 2010). მაშინ, როცა სამართლიანობის პრობლემა აუცილებლად არ წარმოიქმნება იქ, სადაც მოპოვებული მტკიცებულება არ იყო მხარდაჭერილი სხვა მასალებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება ძალიან ძლიერია და არ არსებობს მისი არასანდოობის რისკი, დამხმარე მტკიცებულებების საჭიროება შესაბამისად სუსტია (see *Lee Davies*, cited above, § 42; *Bykov*, cited above, § 90; and *Bašić v. Croatia*, no. [22251/13](#), § 48, 25 October 2016).

76. გარდა ამისა, იმის განსაზღვრისას იყო თუ არა საქმისწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის წონა კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისას და მსჯავრის დადებისას და შეფასდეს ინდივიდუალური ინტერესების წინააღმდეგ - რომ ბრალდებულის წინააღმდეგ მოპოვებული მტკიცებულებების მოპოვება მოხდეს კანონიერად (see *Jalloh*, cited above, § 97, and *Prade*, cited above, § 35).

77. რაც შეეხება, აღმოჩენილი კონვენციის დარღვევის ბუნების შესწავლას, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მან დაადგინა, რომ ფარული მოსასმენი მოწყობილობების გამოყენება წარმოადგენს მე-8 მუხლის დარღვევას, ვინაიდან ასეთი ჩარევა არ იყო „კანონის შესაბამისი“. მიუხედავად ამისა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებების სიაში დაშვება კონკრეტული საქმის გარემოებებში არ ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანობის მოთხოვნებს (see *Khan*, cited above, §§ 25-28; *Bykov*, cited above, §§ 94-105, and *P.G. and J.H.*, cited above, §§ 37-38).

(b) ზემოაღნიშნული პრინციპების წინამდებარე საქმეში გამოყენება

78. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს ჰქონდა ეფექტური შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა მტკიცებულებების ავთენტურობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას. მან ეს გააკეთა რაიონულ სასამართლოში წარმოების დროს და მათი გასაჩივრების დროს. რაიონულმა სასამართლომ მომჩივნის არგუმენტები ბუნდოვნად განიხილა და მხოლოდ განაცხადა რომ მომჩივნის პროცედურული დარღვევების შესახებ ბრალდებები არ დადასტურებულა. თუმცა, თავის გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის არგუმენტები არსებითად განიხილა და დაასაბუთა

საკუთარი გადაწყვეტილება, სადავო მტკიცებულებებთან დაკავშირებით რაიონული სასამართლოს დასკვნების ძალაში დატოვების შესახებ. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ მომჩივნის მცდელობა, სადავო ჩანაწერები გამოერიცხა მტკიცებულებათა სიიდან, წარუმატებელი აღმოჩნდა იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა (რაც მან გამოიყენა) შეწინააღმდეგებოდა მის ავთენტურობას და გამოყენებას (see *Dragojević*, cited above, § 132).

79. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო მტკიცებულება არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც ეფუძნებოდა მომჩივნის ნასამართლეობა (compare *Schenk*, cited above, § 48; and *Khan*, cited above, § 37). რაიონული სასამართლო, მომჩივნის მსჯავრდებისას, დაეყრდნო ა.ს-ს ჩვენებებს, მოწმეთა განცხადებებს, ნივთიერ მტკიცებულებებს, სასამართლო ექსპერტიზას და ოპერატიულ მონაცემებს.

80. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის სასამართლო პროცესზე ფარული ჩანაწერების გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებს.

81. შესაბამისად არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.